

ნიდალური



№ 4. ერველქვირეული ქურნალი 1907 წ.



ილია ჭავჭავაძე თავის ნათესავთა და სტუმართა შორის საგურამოში „ილიაობას“ 1895 წ.

0 ლ ი ა ს ს ა ფ ლ ა ვ თ ა ნ.

დღეს საქართველო უკანასკნელად ეთხოვება
თავის ილიას!

რაც მოხდა, ის არ უდა მომხდარ იყო!

ამაშია ქართველების სულის კვეთება, მისი
ტრაგიზმი!

ცრემლი და ქვითინი ვერ დაუშუშებენ წყლუ-
ლებს ილიას!

კვნესა და გოდება ვერ გაუქარწყლებენ ილიას
უკანასკნელ წუთში ნაგრძნობ სიმწარეს!

ამიტომ ეხლა „ტყუილია სულოქმა, უში!“

უნდა შეურჩევდეთ უცილობელ ფაქტს!..

მაგრამ ერთის პირობით.

ეს პირობა არ არის მძიმე და შეუძლებელი.

უნდა გამოაშარავდეს ბოროტ მოქმედება და
მისი საბაბი.

სრული ნათელი უნდა მოეფინოს უცოდინა-
რობის წყვდიადს.

უნდა მორეცხილ იქმნას ჩირქი და ფურთხი
ქართველ ერის პირ-სახიდან.

ამ კანონიერ სურვილს, ამ უზენაესს უფლებას
წინ ვერავინ ვერ აღუდება.

ეს მართებული საქმე უნდა იყისრონ და თავს
იღვან ჩვენში მომქმედ პარტიებმა.

პარტიები ხომ საზოგადოების გულ-ლვიძლიდან
გამოსული მიმართულებაა, ვაშასადამე მისი სულის
მოსაიდუმლება.

სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალის-
ტები, სოციალ-რევოლუციონერები, ანარქისტები,
ავტონომისტები და სხვები, ყველანი ერთნაირის
გრძნობით დაინტერესებული უნდა იყვნენ სიმარ-
თლის ძიებაში.

ამას ითხოვს მთელი ქვეყნისა და ერის აღშ-
ფოთებული სინდისი!

სიმართლის აღდგენით გამოაშკარავდება, გა-
მოქვეყნდება თვით ბოროტების გარდა; პარტიების
კაცური კაცობა, მათი სისუფთავე და სიწმინდე.

უნც ამის წინააღმდეგი იქნება, იგი თვითონ
გააკრავს თავის თავს სამარცხინო ბოძე და საქ-
ვეყნოდ დაამტკიცებს რომ თვითონაც მონაწილეა
ილიას სისხლის დანთხევაში და ქართველი ერის შეუ-
რაცხოფასა და შერცხვენაში!

ყოველსავე აზრიანისაგან იბადება გონიერი.

ყოველივე უგნურობიდან იბადება სივაგლახე
და სიმდაბლე.

ხალხის ფსიხოლოგიაში, ვითარცა ბუნებაში,
არასფერი უმნიშვნელოდ არ იკარგება.

ხალხი თავის მსჯავრს დასდევს ყოველსავე ავსა
და მავნებელს.

სიბრძნის საგანი მხოლოდ კეთილი საქმე და
ცხოვრების უკუღმართობის გარანტება.

ბრძენი და რაინდი ის არის, ვინც უშაშრად
ჩაიხედავს თავის სისუსტესა და ნაკლუბუფენტაში,

უმაგალითო, არსად არ თქმული ტრიტონების

დასჯილი უნდა იქმნას!

ვინც ქარსა სთესავს, იგი უეპელად ქარი-

შხალს მოიმკის!

პოლის ჯალათს.

(ილია ჭავჭავაძის სიცნას).

„ვგმობ კაცსა უაუგოსა
ცრუსა და ღალატიანსა!“

გ. რუსთაველი.

უმეცარო ძმავ, ფრთებს ნუ შეასხავ,—

ამათ არ ეგ სიხარული;

უმანქო სისხლში მოსვერილ სეჭებით

ეშმაკებს მიეც ცოდვილი სული.

ბოროტო მოდგმავ, მაჭვალ მოგტი—

ერის სიცოცხლე და სიეგარული;

დაუნდობელი, ეკლიან სეჭით

ერს ამოჭიბლივე ძლიერი გული.

მაგასმ, სატანავ, შენს უგვან თავზე

გრულებას იტევის ქართველთა ერი...

შენ დაქმისო... ცოტხალ დარჩება

იგი მგოსანი და დგომისნიერი!

n მჭედლოშვილი.

გედის სიმარტა.

ისეც ბეჟლ დამეს, არწივმა,

მძღავრი ფრთის ჩრდილი წამდაფარა...

ას, ქარიშხალ, შენ გმედ ჯები;

მას გაუთხარო საფლავი ჩქარა!

დაიგრავე, შაბერ-დალევე,

და მანგრიე სელ არემარე,

ადარ დაინდო არწივის ბუდე—

და მაუერე ბედის სიმწარე!

d. გოთოშია.

ილია ჭავჭავაძის აფორიზობი.

წუთის-სოფელი ესეა:

ლამე დღეს უთენებია,

რაც მტრობას დაუქცევია,

სიყვარულს უშენებია.

— კაცად იმასა არ ვაქებ

ვინცა სისხლისა მღვრელაა,

ვაჟკაცად იგი მიქია,

ვინც უბედუროთა მხსნელია.

— სიკეთით სძლიერ შენს მტერსა,

ერიდე სისხლით ზღვევასა:

სულ-გრძელებითა ძლევა სჯობს

ვაჟკაცადითა ძლევასა.

— ხმალი იმოდენს ვერას იქმს,
მრისხანე და ძლიერიო;
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო.

— არა, არ ვუქებ ვაჟყაცასა
კაცთა მუსვრას და ომსაო!..
ვაჟკაც იგია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მკლომსაო;
ვინც არ შეუდრკა მრავალსა,
ხშირად მართლისთვის მწყრომსაო,
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგას ლომსაო.

— შუბი დიდია და მძლავრი,
სისხლ-მღვრელი, სისხლის მ.მელია,
წყნარი, პაწია ნემსი კი
შიშველ-ტიტველთა მცმელია.

— პატიოსან მტერთა შორის
მოციქული ნამუსია.

— კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყყველ დღესა შენს თავს ჰკითხო,—
აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?

— მადლმა სუქვა: წუთი სოფელში
ყოფნა ვაი რა ძნელია!
ძალი ძალოვნობს, ბატონობს,
მე გული გადამელია,
საცა კი შევხედი, დამძლია,
ვერ შეუბრუნე ხელია...
მართალი უთქვამს, ვინცა სოქვა—
„ძალა აღმართის მხვნელია“.

— გებრალებოდეს, ნუ რისხავ
კაცს, შენზედ შურით მწდომსაო!—
კეთილი ფარად უფარე
შენთვის ბოროტის მდომსაო,
მადლისა წყაროს ასმევდე
ცოდვის გუბეში მდგომსაო.

— ვაჟაც ცრემლა რად უძრახვენ?
რკინაც სტყდება, როს სცემს გრდემლი...
კაც და პირუტყვთ გასარჩევად
ლმერთმა შეჯმნა მარტო ცრემლი.

— თუ სახელის შოგნა გინდა,
დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხეალემა მაღლობით სოქვას:
ნანერგითა შენით მარგე.

— წინა კაცი უკანასი
ხიდიაო, ნათქვამია,
დღეის ვაგლახს ამით დასძლევს,
ვინცა ხეალისა მდომია.

ლო, გენძეზაძის სამიკიტნო არ გაგიგონიათ! ჭრ და დღეს
გენძეზაძემ პროლეტარიზაცია იცის რა ხილიც არის. სამი
ბიჭი ტრიალებდა იმის სამიკიტნოში, პლიტაში უკუტრევული
ენთო, ზედ საჭმელები იხარშებოდა... ჰერი ჰაუტრევული უკუტრევული
ხედავ პლიტას ორთქლი ასდის! ეს ხომ ფაბრიკა!! აბა, ჰა
მაგას! გენძეზაძე, კაპიტალი!... ძირს გენძეზაძე, ძირს კაპი-
ტალი! და გაქრა ვითარცა აჩრდილი კაპიტალი ქუთაისში.
გენძეზაძის სამიკიტნოში ცაცხლი ჩაქრა და თვითონ გენძეზა-
ძე კი დიდებულ სრულიად რუსეთის პროლეტარიატში ჩა-
ეწერა....

აბა, მოისმინე დიდებულო, სერვანტეს, შტუტგარტის
კონგრესზედ ერთი ქუთაისელ ნიაქრის მიერ შეტანილი პრო-
ეტი! რა ნაირად უნდა შეუერთდეს, ამბობს ქუთაისელი
ნიაქარი თავის პროექტში, ოკიბელი პროლეტარი ინგლი-
სელ პროლეტარს, თუ ჯერ ნიადაგი არ მაუმზადეთო! ამი-
სათვის მე ვითხოვ მთელმა ინგლისის პროლეტარიატმა ოკ-
რიბულ ღომს და ღობის შეეჩიოსა და ოკრიბელმა კი
ინგლისური ბიგესტესი მიირთვასო. როცა ეს მოხდება, მა-
შინ კი თამამად შეგვიძლიან ვიყვიროთ ჩევნი დევიზი: პრო-
ლეტარიანო მთელი ქვეყნისა შეერთდით! ცხონდა მამა შენი!
დღეს მთელი ოკრიბა, ამ პროექტის წყალობით, ინგლისუ-
რად ალაპარაკდა. „ერუნდას ქმნიან, ფონქვერეო“ გაიძახის
ოკრიბელი და ქართული ენა კი სულ გადავიწყდა, მარტო
სოფელი ჯიმასტარო ლაპარაკობს ქართულად და როგორც
ტელეგრაფმა გვაცნობა ენა-მეტყველი ბელადი სოციალ-დიდ-
ყურებიანებისა, თურმე ძლიერ გაჯავრებულა, რატომ ჯი-
მასტარაოლებსაც არ აჭამეთ ინზლისური ბიგესტესიო.

21 აგვისტოს, (ახალი სტილით) იმავე შტუტგარტის
კონგრესზედ, როგორც მოგვითხოვთ გაზ. „Tempo“, მცხოვანი
მოხუცი სოციალ-დემოკრატი ბებელი ასტკიცებდა, ერვეს
წინააღმდეგ, რომ სამშობლო ისეთი ფაქტია, რომლის წი-
ნააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლებაო. უბედურობა იქნე-
ბა, ვანაგრძო სიმპატიურმა მოხუცმა, რომ საფრანგეთში
გერმანელებმა თავის მმართველობა შეიტანოსო, ან ფრანგე-
ბი გახდნენ ჩევნი სამშობლოს მმართველნით. „თქვენ, ბა-
ტონო ერვე, ისეთ რამს ჩადიხართ, რაც ძრიცლ ასიამოვ-
ნებს გერმანის უმთავრეს შტაბსაო“.— მაშ ვისოთვის ვმუ-
შაობთო? იკითხა ერვემ—თქვენ მუშაობთ გერმანიის მარ-
თებლობისთვის—უთხრა კონგრესის თავს-მჯდომარე ფოლ-
მარმა და მიუბრუნდა უორეს—ვინ მოიყვანა ეს შარლატანი
ამ კონგრესზედო? ეს იყო და ეს! დიდებულო, სერვანტეს!
საცოდავს ბებელს ამის მეტი არა უთქვამს რა, მაგრამ ქუ-
თაისის ჯგუფმა კი დაადგინა: რადგან ბებელმა სიტყვა
„სამშობლო“ ასენა—ბოიკიტი გამოეცხადოსო. საცოდავი
ბებელი ზის ეხლა პირ-დამზუტული და ვინ იცის შეიძლება
ბოლიშის წერილსაც ამზადებს...

ოჳ, სერვანტეს, სერვანტეს!

რომელმა სულელმა სოქვა, ბავშვის ხელში მკრელი
დანა საშიში იარაღი არისო!

დარჩები აქვენი ნიკის პატივის მცემელი ნიკო ბად—ძე.

წეალ-წასაღებად, უბად-ასაღებად.

ოჳ, დიდებულო, სერვანტეს! სადა ხარ ეხლა? იცი
დიდებულო კაცო, რამდენი ქარის წისქილები ატრიალდა
ჩვენს კურთხეულს საქართველოში და განსაკუთრებით კი
უცნაურ ქალაქ ქუთაისში? რასაკვირველია თქვენ, დიდებუ-

ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ტანჯვაა...

გით შავსა ნისლისა შემთდგომიდით
შინდორი, გელი დაუბურია,
იმ უფაფაშია აწ ჩემი გულიაც
მწარე ნაღველით შეხუთუდია!

ეხედავ შშობელ საფხვს ათხებულის,
უდევ ქვეშ ჭიშნესის და ოტანჯება;
მსისხლე მტერი არავის ინდობს
მართალს ჯგანს აკრავს—არ ებრალება!
უდმობელ სედმა ძასრს მახვილითა
ცოუგდა ღვეს მამა—მკვებული!
ეს არ აკმარა დამბლებულთა
გადუწვა სარჩა-საბადებელი!
ბეჭის საშერთაბილეთ გარდა ქცეულა
ტურთა სამშობლო, აშვებებული;
რავდენი სისხლი აქ დაქცეულა,
რავდენს გაჭირებს ცედ ტმვით გული...
ჩვენი ცხოველება მხოლოდ ტანჯეა,
იგი შავია ვითა შერდილი;
მთებებები მაშინ თუ მოისვენებ,
ცოცხალს თანა გდებს გვინესა-ტირილი!..
ბუნებარი.

თავისუფლება... თავისთვის!

(ბიუროკრატის ყურად სალები).

ერთი ინკვიზიტორი ამბობდა:

— ყოველს ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად იფიქროს რაზედაც კი მოისურვებს.

— სიტყვისა? კითხა ერთმა ჭაბუქმა.

ინკვიზიტორმა წარბები შეუკრა და მაგრატელზე მიუთითა, რომლითაც თავისუფლად სიტყვის პატრონს ენას ჭრილნენ ხოლმე.

— ბეჭდვისა? ხელმეორედ შეეკითხა ყმაწვილი.

ინკვიზიტორმა ფანჯარა გააღო და ჭაბუქს დაანახვა „აუტო-და-ფე“ (actus fidei) გაჩირალდნებული კოცონი, რომელზედაც განდგომილთ—ერეტიკოსების წიგნები იწოდა.

ჭაბუქი მაღლე მიხვდა, რომ ინკვიზიტორებს თავისუფლება მარტო თავისთვის ჰქონიათ.

გოგია.

ბ უ ჩ უ ა ს ს ი მ ლ ე რ ა.

(მიბაძვა აკაკის)


შეეჩია ნეტარებას, აწ გული,
ბავშვობილან განცხრომაში ჩამბული.
შეეჩია სიხარულსა მარად ის,
შვება—ლხენა დამებადა მარადის
სულ ვიცინი, სულ ვქეიფობ და ეხარობ;
სხვამ იტანჯოს, მე კი მაინც ვნეტარობ.
ბლომმათა მაქვს ფული, პური და ლვინო,
შისთვის ვცხორობ, რომ მარდის ვილხინო.
რას მიქვია ნაღველი და სევდები,
ქედს მიხრინ და მით უფრო ვმნევდები.
დროს ვატარებ ქეიფით და ლხენითა,
ვინ რას მაწყენს ან საქმით, ან ენითა!?.
ვერვინ დამდლევს, დავიჯერე, ვიწამე,
ვერც სიკვდილი და ვერც შავი მიწა მე!..

გ. ლადოშვილი.

შესანიშნავი ქანდაკებანი.

ეროვნული


გადამისამართი



კანი და აბელი.

რედმონდ ბოას ქანდაკება.

თანამედროვე შეგირდები.



— შეინდო, ისწავლე, მოხუცი მამა
იმას არ გორჩეს რამაც არ გარგოს,
გამომიცდია: უელა ნაეთმა,
როცა დამწიფდეს—მაშინ ივარგოს!

— ერგი ძალიან, ათასვერ კარგი,
მაგასე ამბობს, ვინც მოხუცია,
აქ, მე წიგნებს მივუდები
შენ გააგეთა რეზოლუცია!

შესანიშნავი სურათები.



ამურთა თავდასხმა.
ბუგროს სურათი.

რაჭველი შურდულის აღსაჩენა

ჩემი შურდული მუდამ უამს
უსამართლობის მტერია,
ძმობა, ერთობა, მტერს რისხვა—
იმის დროშაზე სწერია.

ეს პაწაწინა შურდული
მტრისათვის მომართულია,
მე ამას უნდა შევსწირო
ჩემი სული და გულია.

მეც კარგათ ვიცი, შურდული,
მტრის ძალა რომ დღეს დიღია,
მაგრამ არ შედრე, შურდულო, ას სამართლება
არ ჩატეხილა ხიდია.

ტყულით ჰგონია ზოგ-ზოგებს
მტერმა დასძლიოს მდევრა,
ქვეყნის მარჩენალს ბუმბერაზს
მითხარი ვინ მორევია?

დღეს გაულიმა ბედმა მტერს
და გამარჯვება ჰგონია
ვნახოთ რომ ისე გარბოდეს
ველარ იპოვოს ფონია.

რაჭველი შურდული.

7 არ ღ 3 5 3.


(არაკი)

უკროვნებელი

ოდეს განვებით მოევლინა წარლვნზ ჭვერინას, წყალი მოევლო სამყაროის მთას, ტყეს და ყანას, მას უამს ცხოვრებდა ვინმე ნოე. უზარმაზარი კიდობანი მან გააკეთა, ძლიერ მაგარი... ჩამოუარა უდაბნოებს, კლდეს, ლრეს და ველებს და დედალ—მამალს; მოუყარა თავი ცხოველებს. ხანი გავიდა, წყალი დაშრა, გამოჩნდა ბინა.... თავისუფლება მაშინ ნოემ ცხოველებს მიცა. და გამოვიდა, სხვათა შორის, კიდობნით დათვი... ძალუმი იყო, ავი სული, თავისი თათვი აუარებელს ადგილ—მამულს მოხვია მარდათ, თითქოს ქვეყანა მარტო ამას ეყიდოს ნარდათ. თუმცა იბარტყა და ბლომათაც გაუჩნდა ბელი, მაგრამ განუდგა ახლა სრულათ საბრძანებელი.... მონახა სორო, მასში შეძრა და ელის, იცდის... მე კი მგონია—მალე იგი წარლვნას განიცდის! თუ წყალით არა, მოესწრება ხალხისგან წარლვნას... ხალხი ვერ დათმობს სიბოროტეს და ამდენს გარყვნას!..

თომა პუხა.

ტფილისის სალახის რაინდები.



სამხნა ვართ, სამხნა მმახა ვართ, და იმის
გმისსერებთ დეთისა ანაბრათ
მეთხის ჯმაგირსეც ვჭამთ
სამივე მმურათ, თანაბრათ!

ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

დაგველუპა საუკეთესო მამულის შვილი... გან-
შორდა, ჩამოეცალა საზოგადო ასპარეზს გენიოსი
საერო წინამდლობრი... წინამდლობლი რომელიც მო-
ლი ნახევარ საუკუნე უფლობრი ქართულ საზოგა-
დო აზრს, ქართულ საზოგადო ცხოვრებას...

ვიღიასიც ბოროტი ხელი გაკადნიერდა და გაჰ-
გირა გული საქართველოისა... ვიღიაც შეურაც-
ხო წმიდათა წმინდა ქართველი ერისა. ვიღიაც
შელია ერის უმაღლესი და უზენაესი გრძნობანი.
სამშობლო ისტორია არ მოსწრებია ამ გვარ ბია-
ბრუობას და საქართველო ჰლელაქს და არ იცის, რა
რიგათ და როგორ იცხოვოს შეგინებულის სახე-
ლით, შერცხვენილი პირით!..

ზოგჯერ ყოფილინ დევლინი გენიოსი, ძლიე-
რი წინამდლობრი, ბელადნი, ხოლო მათს დევნაში
ერს წილი არასოდეს არა სრებია... დევნა დიდ
ბუნებოვან მამულიშვილთა ერის ხელობა არ არის...
ამ გვარი საქმე უკუღმართ და უბედურთ საზოგა-
დოების ნაძირალთა ხედრია!..

მაგრამ ანარქიისა და გახრწილობის უამსა და
დროს საკოდაგნი და სასაკილონი არიან ისინი,
ვინც ნდობით შეჰქურებენ არა მკითხ მეტიჩრებს,
ერის ვითომდა ჭირისუფალთ და ცრემლის მფრქვე-
ველთა! და მგოსინი ჩევნი მტკიცედ ადგა თავის
გზას, აღთოთვანებული და იმედიანი, რომ საყვა-
რელი სამშობლო კვლავ აჰყვავდება გაიფურჩე-
ბათ.

ამაოდ! სამშობლოს აყვავებას ვერ მოესწრო
აღზენებული მგალობელი სიყვარულის და თავის-
უფლებისა... მაინც ვერ ელირებოდა დიდებული
მეოსანი სამშობლოს გაფურჩენას, ვიტყვით ჩევნ
ჩევნის მხრით.

დღევნდელი საქართველო გაკოტრებულ კაცა
ჰგავს, სასოწარკეთილია, თავი ჩაუქინდრავს, ბუ-
რანშია... საჭიროა ძლიერი მუჯლუგუნი, რომ
თავდავიწყებისგან კვლავ გამოერკვიოს...

და ამ მხრით ტრალიული სიკვდილი იღია
ჭავჭავაძისა არა მოკლებული დიდსა და ღრმა
ისტორიულ მნიშვნელობასა!

გულის სილრმედე შერყეული დაუკიწყარ მგოს-
ნის საზიზლარ სიკვდილით ივერია მუხლს იდრექს
ამ უამათ თავის მასწავლებლის კუბოს წინაშე...

გული ერისა, განგმირული მტრის ბარბარო-
სულ ტყვიით—ნიშანია და მირონი საქართველოს
ისტორიულ ცხოვრების გამობრუნებისა, აწონ-და-
წონა და მსჯავრია უკანასკნელის შავედითი და
უკუღმართ ხანასი...

დადგა დიდებული ისტორიული მომენტი, და-
დგა ჭამი, რდეს ეროვნული გრძნობა ფრთხებს

ისხას, ვარდივით იშლება ხალხში, ოდეს სამშობ-
ლო ეროვნულ ცხოვრების დაბრუნებულ გზას და-
დგომია...

ჩევნც დაობლებული შვილნი ივერიისა, იმედ
შესხმულნი და აღფრთვენ გენიოსო-
ბის უკვდავ და შემომქმედ ძალით, ძვირფასო იღია
გრიგოლისძევ, მივეშურებით შენს საფლავისკენ
სატიროად კი არა, არამედ უკანასკნელი შენი ან-
დერძის ასასრულებლად—ეროვნულ საქმის დასა-
ცვავათ და მისთვის თავის შესაწირავიდ!

საუკუნო განსვენება შენ, დიდებულო მასწავ-
ლებელო,
და წყველა-კრულვა შენს პირშავ მკვლელებს!
გ. ამირეჯიბი.

პრო პირები.

ქუთაისის რამე-ქუმე.

— ხოლო რის მოლოდინში ქალაქის საბჭო დიდი
მზადებაშია: ასუფთავებს ქუჩებს, მოედნებს, ეზოებს,
თვალ-ყურს აღევნებს და სპობს უფარგის სანოვა-
გესა და ხილს; აკრძალულია ქუჩებში სხვა და სხვა
ხილულისა და ჭის წყლის გაყიდვა; ნაბრძანებია
სხვა და სხვა დაწესებულებებში უსათუოდ გადადუ-
ლებული წყალი იხმარონ სასმელად და სხვა და
სხვა და სხვა... ყველაფერი ეს შევნივრადა დაწე-
რილი ქალალზე, ნამდვილად კი... ამას მე ნუ
მკითხავთ!..

— ქუთაისის კლუბის საქმე წინ მიდის. მისი
სადგომის გასაფართოვებლად თავად-აზნაურთა დე-
პუტატთა საკრებულოს ყოფილი სადგომიც იქირა-
ვეს. შენობის შეკეთება ქალაქის გამგეობას სამი-
ათას მანეთამდის უჯდება. როგორც გავიგე, ქუთა-
ისში მეორე კლუბიც არსდება, რომლის წევრე-
ბად მხოლოდ წმინდა წყლის არისტოკრატებს. მიი-
ღებენ. კლუბის საკეთილ-დღეოდ დიდი ღვაწლი
დასდო ზოგიერთმა განათლებულმა პირმა, რომელ-
თაც კლუბისტ-ბაქარისტები პატივისცემის ნიშად
კედელზედ უპირებენ ჩამოკიდებას უმთავრეს და-
ბაზში.

— სულ სხვა სურათს წარმოადგენს ქალაქის
გამგეობის სადგომი: ვიწრო, ბნელი ოთახები, და-
ლეჩილ-გახუნებული და გატალახიანებული ჭერ-
იატაკი. ივანი იმდენად დაძველებული და დამპალი,
რომ ზედ გავლა მეტად საშიშოა; სახურავი დაცხ-
რილულ-შეულებავი; კარ-ფანჯრები კბილებ-დაღ-
რენილი ვერც მტერს იკავებს, ვერც სიცხესა და
ვერც სიცივეს; წვიმის ღრმას ოთახებში კოქებამდის
ტბა დგას, ქარის ღრმას კი მტერი... საჭიროა მისი
კაბიტალური შეკეთება, მაგრამ... ეს ხომ კლუბი
არაა, რომ მისთვის ვინმებ თავი შეიწუხოს!..

— სტიპენდიების გამწერივებელ კომისიას
დაუდგენია: რადგან ბევრი მთხოვნელია და ჩვენი
სტიპენდიები ყველას არ გასწვდება, ამიტომ უმჯო-
ბესი იქნება, ეს სტიპენდიები ჩვენს შვილებსა და
მახლობელ ნათესავებს გავუნაწილოთ. ეს დიდებული
აზრი პირველად თავ. ვარადებულ აფაქიძეს მოსვლია.

ისარა.

გამოცანა № 1.

ქუთაისში დაცანცალობს,
ერთი რამა ცხოველია:
მაღალია გრძელულვაშა
და ჯიბეში მძრომელია.
ქუჩაში კაცს არ გაუშვებს
თუ არ გაუჩხრეკელია,
ეშმაკობაში ვერას დრო!
მას ვერ აჯობებს მელია.
ქუთათურნი უსათუოდ
მიხვდებიან რომელია,
რადგან შარშანდელის აქეთა
დაგვიქცია სოფელია.

კვანძარახი.

ახალციხე. აქაური ქართველი კატოლიკები
კარგა ხანია ცდილობენ სომხების ტიბიკონს ჩამო-
შორდნენ და ერთხელ და სამუდამოთ განთავისუფ-
ლდნენ იმათის სულიერი მზრუნველობისაგან, მაგ-
რამ, სამწუხაროთ, მათი მოძღვრები, რომელთა
რიცხვი თითებზე დაითვლება, ამ კანონიერ სურ-
ვილს ქართველებისას ღალატობენ. მიზეზი გახლავთ
კუჭის მრწამსი — „ვაი თუ პატრები გამრაელდნენ
და ჩვენ საცოხნი მოგვაკლდესო.“ ამ „კუჭიატი“
პატრებში თითო ოროლა არის იმისთანებიც, რო-
მელნიც მზად არინ ერს სამსახური გაუწიონ და
სომხურ ტიბიკონი გადააყენონ, თუნდაც ამისათვის
თვითონაც იქმნან გადააყენებულნი, მაგრამ მოგეხ-
სეჩებათ მარტო ხელი კაცი ჭამაშიაც ცოდნა არის.
ეხლა „გულის კან კალით და სულის ფანცელით“
ველით „კუჭისტების“ სიმრავლე გაიძარჯვებს თუ
ნამდვილი სულიერ მოძღვართა სიმცირე!..

აღდგომა და ხეალია! კნახოთ!

კუნაპეტი.

თბილისის „უარავა“

(მღერის დრახტი-ვუბას ხმაზე დაირით ხელში).

ჯან, ერ, ერ, ერ, ერი...!
ახ ფულაჯან ხადა ხარ,
და რომელ სა მხერესა,
გის უზიხარ ჯიბეში
ვინ გიშტერებს თვალებსაა!
ჯან, ერ, ერ, ერ, კოტრი კაცი

ამ ქვეყნათ სჯობს არ იყოს,
ურჩევნია რომ სამარე გაიღოს, ერთოველი
კოტრი კაცის მურაზი წასულია გიზულითივა
რა ძალაა ეს ოხერი ფულიაა!

ჯან ერ, ერ, ერ, ერი...!

მოვალენი კარს მადგენან მუდამა,
მთლათ წაილო რაც მქონდა იუდამა,
ჯამაგირი ველარ მივე მოხელეს,
გამწარებით თავში ვირტყაშ მე ხელებს!

ჯან, ერ, ერ, ერი...!

მიხაროდა არჩევნისა „იაშჩიკი“

არ მომიხდება მეხუზლა ფოდრაჩიკი

სულ იძახის: „დამითვალე ფულია,

ვა, ოხერო, ოფლით მოგებულია“

(აქედამ ერთის ნოტით მაღლა იწყობს
აზირს ხმით).

აახ, ხოლერა, შე ოხერო, რა მიყავ,

მოსვენება ლამის შუა გამიყავ,

რა ვიცოდი თუ ასე ახლო იყავ,

რაც დამაკლდა შენ ერთი ორათ მიყავ?

რა უდროვოთ, ამინთე ჩირალდანი,

ტფილის ჟალაქს გადახადე სამანი,

შე, ლევანდო, ვირის თავო, რა ქენი,

წახდა, რაღა, წახდა ჩემი საქმენიი!

რა გინდოდა დებულიყო ტალახი,

ვის ჰქონდა, იბა მითხარ, ნანახი,

ან „კანავა,“ ან საყასბო, სალახი,

თავს დამატყდა უცებ ვაი-ვაგლახიი!

(ჩაფიქრდება... შემდეგ გაიღიმებს, და თა-
მაშობს მაშალი — სონას ყაიდაზე თან მოსთვეობს);

ეს რაც არი ეს არი,

დარდი, ძმარ, მეტია,

შე კი ამცდეს და სხვები

ჭირსაც გაუწყვეტია!

ხოლერა მოვა, წავა,

კასაც კვლავ არცება.

ყველაფერი ძველს წესზე

ისე ისევ იქნება.

ეშინდეს მშებება,

მე რა მიკირს ძლიერსა,

ჩემს ავათ მახსენებელს

დარღუბალა და კვნესა!

(მიუჯდება ლულა ქაბაბს).

ეს ქაბაბი, ძმაოჯან,

ტფილისის ქალაქისაა,

მე ხელთა მაქს მუდამა

მისი ჯიბე-ქისაა!

ქვეინებში სულელის

უნდა ქონება სკამონ!

მიკიჩ ხმა ქენ, იგალე,

ჯან, ამონ, ამონ, ამონ!

გააგის სამშვიდობო კონფერენციის სამართლი.



„სად მოთხეულხართ აზის ძეელ ნამთხო? უველა-უველა, მაგრამ თქვენ აა ავტონომიას ისარულობთ, როცა თქვენისვე თანხმობით მოხადა ირჩიეთ! მოხადს—მოხადა, ძლიერთ—თვითხებოდა! აა ბაწყინვადე სახელმწიფოთ, დეირზი!“

“ნიშადურის” პასუხები.

ჭიათურაში—ბ-ნ გ. ნ—ს მობგაწოდეთ. სიმოვნებით დავშეძლვოთ.

გორგო—ლ-ლ-ლ-ს „იორუა გრძელი მოყვლეთ იოქ-მის“ თქვენ კი ძალა გაჭიანურებული გაქვთ თქვენი ამბავი.

ფოთში.—გოგიას—ზოგი რამ გამობგადგება. სინ-ტერესო ადგილობრივი ამბები.

სილნაღში.—განო—ბებ. იქაურ მედროვეთა „ბლო-კს“, რომლის მეთაურობა დაშნაკაკანებს კისრად უდეია, ჩვენც უკარიებთ ნიშადურის წატებას.

თფილისში.—კეთილის მყიფელს. ურნალის სახელს „ნიშადურს“ იწუნებთ. დაბეჭდილ მასალებს კი იწო-ნებთ. ეს უკანასკნლი სასიამოვნოა და პირველი კი სამწუ-ხარო. საქმე „სახელი კი არა სახრავია“.

ბათუმი—ბ—ს. პირველსავე ნომერში შეუქანებელი იყო მოთელი ურნალის „ფიზიონომიის“ ჩვენება. თქვენი მე-გობრული რჩევა სასიამოვნოა. ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ

ლიტერატურულ—მხატვრულ სტილის უპირატესობა ჰქონდეს ურნალში. რაც შეეხება სერიაზულისა და იუმორის ტიულის განცალკევებას—არ გთანხმებით: თვით ცხავრებაში სატი-რელი და სასაცილო გადახლართულია ერამანეთში. თანა-შმროვლაბითავის გმაღლობთ, „პამს სტუმარი სასურველი, მაცინძელი მხიარული.“

რედ.-გამომცემები ვალერიან გუნია.

ახალი ელექტრო-მბეჭდავი სტამა

„სორკაპანი“

დებულიობს კოგელიგარ სასტამბო საქმეს განა- გეთებლათ სუვთად და დანიშნულ დროს.